

ფინანსური ანგარიშგება და კომპილაციის რეპორტი

შპს სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის



ს ა რ ზ ე ვ ი

კომპილაციის რეპორტი	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8

ფინანსურ ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ინფორმაცია კომპანიის შესახებ	9
2. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება	9
3. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	12
4. ძირითადი საშუალებები	17
5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	18
6. სავაჭრო მოთხოვნები	18
7. ფული და ფულის ექვივალენტები	18
8. კაპიტალი	19
9. სავაჭრო ვალდებულებები	19
10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	19
11. ამონაგები	19
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19
13. ფინანსური ხარჯი	20
14. საიჯარო აქტივებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები	20
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	20

კომპილაციის რეპორტი

შპს სიქა სიქურითი სოლუმენს ჯორჯიას მენეჯმენტს

ჩვენ განვახორციელეთ შპს “სიქა სიქურითი სოლუმენს ჯორჯიას” (“კომპანია”) თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაცია თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციისგან.

ჩვენ გამოვიყენეთ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა და ჩვენი პრაქტიკული გამოცდილება, რათა დაგხმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში ფასს სტანდარტების შესაბამისად. ჩვენ დავიცავით შესაბამისი ეთიკური ნორმები.

ამ ფინანსური ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არარის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მმართველო პარტნიორი

პაატა გაბიძაშვილი

2020 წლის 8 დეკემბერი

კომპილაციის რეპორტი

შპს სიქა სიქურითი სოლუშენს ჯორჯიას მენეჯმენტს

ჩვენ განგახორციელეთ შპს “სიქა სიქურითი სოლუშენს ჯორჯიას” (“კომპანია”) თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაცია თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციისგან.

ჩვენ გამოვიყენეთ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა და ჩვენი პრაქტიკული გამოცდილება, რათა დაგზმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში ფასს სტანდარტების შესაბამისად. ჩვენ დავიცავით შესაბამისი ეთიკური ნორმები.

ამ ფინანსური ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არარის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მმართველო პარტნიორი

პაატა გაბიძაშვილი



2020 წლის 8 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის (ლარში)

	შენიშვნა	2019 წ. 31 დეკემბერი	2018 წ. 31 დეკემბერი
აქტივები			
<u>გრძელვადიანი აქტივები</u>			
ძირითადი საშუალებები	4	1,932,944	3,548,680
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>		<u>1,932,944</u>	<u>3,548,680</u>
<u>მიმდინარე აქტივები</u>			
მარაგები	5	3,107,687	3,153,981
სავაჭრო მოთხოვნები	6	83,635	124,095
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები		287,139	426,157
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	563,247	89,567
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>		<u>4,041,708</u>	<u>3,793,800</u>
<u>სულ აქტივები</u>		<u>5,974,652</u>	<u>7,342,480</u>
<u>კაპიტალი</u>			
საწესდებო კაპიტალი	8	28,169,924	28,169,924
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(34,606,418)	(31,910,664)
<u>სულ საკუთარი კაპიტალი</u>		<u>(6,436,494)</u>	<u>(3,740,740)</u>
<u>ვალდებულებები</u>			
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
<u>მიმდინარე ვალდებულებები</u>			
საიჯარო ვალდებულებები		170,378	0
სავაჭრო ვალდებულებები	9	12,058,100	10,852,321
მიღებული ავანსები		104,566	129,570
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	78,102	101,329
<u>სულ ვალდებულებები</u>		<u>12,411,146</u>	<u>11,083,220</u>
<u>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</u>		<u>5,974,652</u>	<u>7,342,480</u>

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის (ლარში)

	შენიშვნა	2019 წ. 31 დეკემბერი	2018 წ. 31 დეკემბერი
აქტივები			
<u>გრძელვადიანი აქტივები</u>			
ძირითადი საშუალებები	4	1,932,944	3,548,680
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>		<u>1,932,944</u>	<u>3,548,680</u>
<u>მიმდინარე აქტივები</u>			
მარაგები	5	3,107,687	3,153,981
სავაჭრო მოთხოვნები	6	83,635	124,095
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები		287,139	426,157
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	563,247	89,567
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>		<u>4,041,708</u>	<u>3,793,800</u>
<u>სულ აქტივები</u>		<u>5,974,652</u>	<u>7,342,480</u>
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	28,169,924	28,169,924
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(34,606,418)	(31,910,664)
<u>სულ საკუთარი კაპიტალი</u>		<u>(6,436,494)</u>	<u>(3,740,740)</u>
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		170,378	0
სავაჭრო ვალდებულებები	9	12,058,100	10,852,321
მიღებული ავანსები		104,566	129,570
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	78,102	101,329
<u>სულ ვალდებულებები</u>		<u>12,411,146</u>	<u>11,083,220</u>
<u>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</u>		<u>5,974,652</u>	<u>7,342,480</u>

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 22 იანვარს

დირექტორი
გიორგი ჯიქია



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის (ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	11	9,109,655	12,137,427
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(5,023,534)	(6,139,091)
მთლიანი მოგება		4,086,121	5,998,336
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(5,833,768)	(5,865,164)
სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები, წმინდა		2000	9302
საოპერაციო მოგება(ზარალი)		(1,745,647)	142,474
<u>ფინანსური შემოსავალი</u>		33,365	31,891
ფინანსური ხარჯი	13	(30,996)	
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა		(952,476)	(238,647)
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		(2,695,754)	(64,282)
მოგების გადასახადი		-	-
წლის ზარალი		(2,695,754)	(64,282)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი	-	(2,695,754)	(64,282)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	28,169,924	(31,846,382)	(3,676,458)
წლის მთლიანი სრული ზარალი		(64,282)	(64,282)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	28,169,924	(31,910,664)	(3,740,740)
წლის მთლიანი სრული ზარალი		(2,695,754)	(2,695,754)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	28,169,924	(34,606,418)	(6,436,494)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის (ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(14)	904,342	212,849
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(14)	(16,888)	(964,842)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(413,774)	-
წმინდა (შემცირება)/ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		473,680	(751,993)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		89,567	841,560
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		563,247	89,567

1. ძირითადი საქმიანობა და ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია რეგისტრირებულია მისამართზე საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ძველი საჯარიმო ავტოსადგომის მიმდებარედ, (ნაკვეთი N25/21).

შპს სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია-ს 100 % წილის მფლობელი არის შვეიცარიის კონფედერაციაში რეგისტრირებული კომპანია „სიქპა ეს. ეი“.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2019 წელს შეადგენდა 39 თანამშრომელს.

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დამცავი ნიშნების (მატერიალური ფორმის მარკები) მიწოდებასა და ელექტრონულ მარკირებას საქართველოში რეგისტრირებულ აქციზურ და არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებულ საწარმოებსა და იმპორტიორებზე.

2. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

საანგარიშგებო წელს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ახალი ან შესწორებული სტანდარტებიდან და ინტერპრეტაციებიდან, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულო იყო 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის კომპანიის ოპერაციებიდან გამომდინარე დაინერგა მხოლოდ ფასს 16 - იჯარა.

სხვა ახალ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებს, რომლებიც უკვე გამოცემულია, არსებითი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაზე.

ასევე მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენება ნებადართულია) არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- კორექტირებები ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებებში.
- ბიზნესის განმარტება (ფასს 3-ის კორექტირებები).
- არსებითის განმარტება (ბასს 1-ისა და ბასს 8-ის კორექტირებები).
- საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკის რეფორმა (ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7-ის კორექტირებები).
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები.
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები).

ფასს 16 “იჯარა”

2019 წლის 1-ლი იანვრიდან კომპანიამ დაწერა ფასს 16-იჯარის სტანდარტი, რომელიც მოითხოვს, რომ იჯარის მიმღების მიერ იჯარა აღირიცხოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც აქტივი “გამოყენების უფლებით”.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოეყენებინა ფასს 16-იჯარა მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომით, რაც გულისხმობს, რომ სტანდარტის გამოყენების პირველი თარიღი იყო 2019 წლის 1-ლი იანვარი და შესაბამისად არ მომხდარა შესადარისი პერიოდის ბალანსების გადაფასება.

2019 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წელს საოპერაციო პერიოდის ხარჯად აღრიცხული იჯარა დაკვალიფიცირდა როგორც აქტივი “გამოყენების უფლებით” და აღიარდა საიჯარო ვალდებულება მომავალ პერიოდში გადასახდელი ფულადი ნაკადების დღევანდელი (დისკონტირებული) ღირებულებით. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება საიჯარო აქტივის ცვეთა და საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტი, როგორც ფინანსური ხარჯი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული პროცენტების გადახდა აისახა საოპერაციო საქმიანობის ნაწილში, ხოლო ძირითადი თანხის გადახდა ფინანსური საქმიანობის ნაწილში.

ფასს 16-ის დაშვების შესაბამისად კომპანია მოკლევადიანი იჯარებს (12 თვით და ნაკლები ვადის) და მცირე ღირებულების აქტივების იჯარას (ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით 5,000 შვეიცარიულ ფრანკზე ნაკლები ღირებულების მქონე აქტივის იჯარა) აღიარებს საოპერაციო საიჯარო ხარჯად.

გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივების თავდაპირველი შეფასება მოხდა საიჯარო ვალდებულებების თანხით, რომელიც დაკორექტირდა წინასწარ გადახდილი საიჯარო გადასახდელებით.

2019 წლის 1-ლ იანვარს კომპანიის მიერ საიჯარო ვალდებულებებისთვის დისკონტირებისთვის ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი იყო 7,80 %.

კომპანიის მიერ დადებული საიჯარო ხელშეკრულებების შეწყვეტა შესაძლებელია ჯარიმის გადახდის გარეშე გარკვეული პერიოდით ადრე მეიჯარისთვის წინასწარ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. კომპანიამ შეაფასა, რომ პროექტის ხანგრძლივობის პერიოდში არ გამოიყენებდა იჯარის ვადამდე ადრე შეწყვეტის უფლებას არსებულ საიჯარო ხელშეკრულებებთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე გამოყენების უფლების მქონე აქტივების იჯარის ვადები განისაზღვრა აღიარების მომენტისთვის “პროდუქციის მოძრაობისა და რეგისტრაციის ინტეგრირებული სისტემის შექმნისა და ოპერირების” ხელშეკრულების (გაფორმებული სიკა ეს.ეის, შპს სიკა სიჭურითი სოლუმენს ჯორჯიასა და სსიპ შემოსავლების სამსახურს შორის) ვალიდური დასრულების თარიღით, 2020 წლის 1-ლ ნოემბრამდე.

2020 წელს “პროდუქციის მოძრაობისა და რეგისტრაციის ინტეგრირებული სისტემის შექმნისა და ოპერირების” ხელშეკრულების ვადა გაგრძელდა დამატებით 1 წლით. ამიტომ, კომპანიამ ფასს 16-ის შესაბამისად აღრიცხა იჯარის მოდიფიკაცია 2020 წელს.

ქვემოთ ცხრილის სახით მოცემულია 2019 წლის 1-ლი იანვრიდან კომპანიის, როგორც მოიჯარის მიერ ფასს-16-ის შემოღების შედეგი მოგება-ზარალის და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში:

ცვლილებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ამონარიდი) (ლარი)

	31.12.2018 (ბასს 17-ით საწყისი ნაშთი)	ცვლილება ფასს-16-ით	01.01.2019 (ახალი საბალანსო ღირებულება)	31.12.2019 (საბალანსო ღირებულება)
საიჯარო აქტივები	0	579,144	579,144	263,247
საიჯარო ვალდებულებები	0	466,668	466,668	170,378

ცვლილებები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში (ამონარიდი) (ლარი)

საიჯარო აქტივების ცვეთის ზრდა	315,897
ფინანსური ხარჯის ზრდა	25,986
საოპერაციო იჯარის ხარჯის შემცირება	342,653

კოვიდ19-თან დაკავშირებული - ცვლილებები ფასს 16-ში (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს, ძალაშია 2020 წლის 1 ივნისს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის)

ამ ცვლილებით მოიჯარეები (და არა მეიჯარეები) უზრუნველყოფილნი არიან შეღავათით, რომ სურვილის შემთხვევაში გათავისუფლდნენ იმის შეფასებისგან, კოვიდ-19 დაკავშირებით იჯარის კონცესია იჯარის მოდიფიცირებას წარმოადგენს თუ არა. მოიჯარეებს შეუძლიათ აირჩიონ და იჯარის კონცესია ისევე აღრიცხონ, როგორც ისინი მას აღრიცხავდნენ, თუ ეს იჯარის მოდიფიცირება არ იქნებოდა. ხშირ შემთხვევაში ეს გამოიწვევს კონცესიის ცვალებადი საიჯარო გადახდის სახით აღრიცხვას. ეს პრაქტიკული შეღავათი ვრცელდება მხოლოდ იჯარის კონცესიებზე, რომლებიც წარმოიქმნება COVID-19 პანდემიის უშუალო გავლენის გამო და მხოლოდ მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ მოცემული პირობა: იჯარის გადახდების ცვლილება წარმოქმნის გადასინჯულ საიჯარო ანაზღაურებას, რომელიც არსებითად იგივეა ან ნაკლებია, ვიდრე ანაზღაურება იჯარისთვის, რომელიც უშუალოდ ცვლილებამდე არსებობდა; საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ გადახდებზე, რომელთა გადახდის თარიღი იყო 2021 წლის 30 ივნისი ან ამ თარიღამდე და იჯარის სხვა პირობები არსებითად არ შეცვლილა. თუ მოიჯარე აირჩევს, რომ ეს პრაქტიკული შეღავათი გამოიყენოს იჯარისთვის, მაშინ ის მას თანმიმდევრულად გამოიყენებს ყველა საიჯარო ხელშეკრულებისთვის, რომელთაც მსგავსი მახასიათებლები და გარემოებები აქვთ. ეს ცვლილება რეტროსპექტულად უნდა იქნეს გამოყენებული, ბასს 8-ის შესაბამისად, თუმცა მოიჯარეებს არ მოეთხოვებათ გასული პერიოდის ციფრების გადაანგარიშება, რათა გაამჟღავნონ ბასს 8-ის 28(ვ) პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია.

2020 წელს ადგილი არ ჰქონია საიჯარო გადახდების ცვლილებას. შესაბამისად “კოვიდ19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობასთან” დაკავშირებულ ფასს 16-ის შესწორებებს გავლენა არ ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

კომპანია ფასს-ს იყენებს საქმიანობის დაწყების დღიდან გარდა ფასს 16-ისა, რომელიც დაინერგა 2019 წლის 1-ლი იანვრიდან. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა საანგარიშგებო პერიოდში მშობელი, არარეზიდენტი კომპანიის კონსოლიდაციის მიზნებისთვის ფინანსური ინფორმაციის მოსამზადებლად.

თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია არის და ოპერირებას გააგრძელებს უახლოეს საპროგნოზო მომავალში როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ამ ეტაპზე არა არსებობს გარემოება, რაც ხელს შეუშლის კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები აღემატებოდა მიმდინარე აქტივებს 8,369,438 ლარით და ამ დროისთვის კომპანიას ჰქონდა 34,606,418 ლარი აკუმულირებული ზარალი. მიმდინარე ვალდებულებების უდიდესი ნაწილს (12,049,151 ლარი) შეადგენს სავაჭრო ვალდებულებებს დამფუძნებელი კომპანიის მიმართ, რომელზეც ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული გადახდის გრაფიკი. დამფუძნებელ კომპანიის არ აქვს მკაცრი მოთხოვნა სავაჭრო ვალდებულების დაფარვის ვადებთან დაკავშირებით და გადახდა ხორციელდება ყოველ კონკრეტულ პერიოდში კომპანიის მიერ აკუმულირებული ფულადი სახსრების შესაძლებლობის ფარგლებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2020 წელს კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აკვირდებოდა COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულ ბაზრის მერყეობას და ჩვენი შეფასებით კომპანია მომავალში შეძლებს გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის მიმდინარე (სავაჭრო) ვალდებულებების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში (შვეიცარულ ფრანკში), ლარის გაუფასურების ეფექტი უცხოურ

ვალუტაში გასაწევი ხარჯების მუხლებზე (თვითღირებულება, სათადარიგო ნაწილები) არ იქნება მნიშვნელოვანი, ვინაიდან კომპანიის შემოსავლების ძირითადი ნაწილი დენომინირებულია ასევე უცხოურ ვალუტაში (კომპანიის მიერ რეალიზებული აქციზური მარკების ნომინალური ღირებულება და ადგილობრივი ლუდის ნაწარმის მარკირების ღირებულება განისაზღვრება უცხოურ ვალუტაში, ევროში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება 996-ით “გადასახადების ადმინისტრირების შესახებ”).

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშებულია ლარში SICPA ჯგუფის ფასს-ების შესაბამისად შემუშავებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მიხედვით, მოცემული თარიღისთვის არსებული SICPA ჯგუფის მიერ მოწოდებული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (ყოველი თვის 28 რიცხვისთვის) არსებული სპოტ სავალუტო კურსების მიხედვით (წყარო thefinancials.com):

- შვეიცარული ფრანკი უცხოური ვალუტის მიმართ
- უცხოური ვალუტა შვეიცარული ფრანკის მიმართ
- კროს კურსი

კურსები დამრგვალებულია მძიმის შედეგ 6 ციფრამდე.

ანგარიშგების თარიღისთვის უცხოური ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლების გადაფასებისთვის SICPA ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ გამოყენებულია უცხოური ვალუტების სპოტ გაცვლითი კურსები.

ვალუტის კოდი	ვალუტის დასახელება	ლარის გაცვლითი კურსი უცხოური ვალუტების მიმართ-31.12.2019	ლარის გაცვლითი კურსი უცხოური ვალუტების მიმართ-31.12.2018
EUR	ევრო	3.186604	3.044178
CHF	შვეიცარული ფრანკი	2.935411	2.702978
USD	აშშ დოლარი	2.845000	2.660000

ფულადი მუხლების გადაფასების შედეგად მიღებული საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშობა.

არაფულადი მუხლები წარდგენილია ისტორიული ღირებულებით ლარში, გადაყვანილი ოპერაციის განხორციელების დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით და მას გადაფასება არ ეხება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მცირე ფასიანი ნივთები (2500 შვეიცარული ფრანკის ექვივალენტი ლარში), არ კაპიტალიზირდება და აღიარდება პერიოდის ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სათადარიგო ნაწილები და დამხმარე მოწყობილობა, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გამოყენებული იქნება ერთზე მეტი საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე მხოლოდ ძირითად საშუალებებად აღიარებულ მოწყობილობებთან დაკავშირებით და აკამყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას ბასს 16-ის შესაბამისად, კაპიტალიზირდება/აღიარდება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალკე ჯგუფად და ერიცხება ცვეთა.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის SICPA ჯგუფის მიერ განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები მოცემულია ქვემოთ. კომპანია, ძირითადი საშუალებების კაპიტალიზაციისას იყენებს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრულ სასარგებლო მომსახურების ვადებსა და “პროდუქციის მოძრაობისა და რეგისტრაციის ინტეგრირებული სისტემის შექმნისა და ოპერირების” ხელშეკრულების მოქმედების ვადას შორის უმცირესს

- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - იჯარის ვადა
- მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები – 8-დან 15 წლამდე.
- ელექტრონული მარკირებისთვის გამოყენებული სპეციალური მოწყობილობები - 5 წელი.
- ინფორმაციული სისტემები - 5 წელი
- კომპიუტერები – 3 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები - 4 წელი
- ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი
- საიჯარო აქტივები-იჯარის ვადა

როგორც ავლნიშნეთ, ზემოთ მოცემული ცვეთის პერიოდები არის მაქსიმალური და არ აღემატება კონკრეტული პროექტის ვადებს.

კომპანია წელიწადში ორჯერ ახორციელებს გაუფასურების ტესტს მის ბალანსზე არსებულ ძირითად საშუალებებთან მიმართებაში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიისთვის გასაყიდად გამოიზულ მარაგებს შეადგენს აქციზური და არაქციზური საქონლის მარკები. ასევე, კომპანია მარაგებში აღრიცხავს მანქანა-დანადგარებისთვის განკუთვნილ პრევენციული ხასიათის სათადარიგო ნაწილებსა და სახარჯ მასალას, განსხვავებით მაკორექტირებელი ხასიათის მქონე სათადარიგო ნაწილებისა, რომელიც კაპიტალიზირდება და ერიცხება ცვეთა.

ბასს 2-ის “მარაგები” მიხედვით სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თუმცა, კომპანიის მარაგების სპეციფიურობიდან გამომდინარე ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არაა დამოკიდებული ბაზარზე და შესაბამისად კონკრეტული სახის მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით შეფასების საკითხი არ დგება.

მარაგების სრული უმრავლესობის შესყიდვა ხდება ჯგუფის წევრი კომპანიებიდან/დაკავშირებული მხარეებიდან, რომელიც სააღრიცხვო პოლიტიკით იყენებს სტანდარტული ფასწარმოქმნის მეთოდს. შესყიდვის ფასის სხვაობა (ტრანსპორტირების და დაზღვევის ხარჯი) აღირიცხება ხარჯებში საერთო მოგებად. ყოველი წლის ბოლოს ხდება სტანდარტული ფასწარმოქმნის მეთოდის გადაანგარიშება და მხოლოდ მნიშვნელოვანი ცვლილებების შესაბამის ანგარიშგებებში ასახვა.

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით რეკომენდირებულია მოძველების რისკის მქონე მარაგების პერიოდულად გადახედვა, რომ დროულად მოხდეს ვადაგასული ან დაზიანებული მარაგების ჩამოწერა.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება რეზიდენტ ბანკში არსებულ ანგარიშებზე არსებული ფულის ნაშთისგან.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები რეალიზაციიდან აღიარდება მისაღები ან მიღებული ანაზღაურების ღირებულებით (დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე), როდესაც კომპანია მყიდველს მიაწოდებს მატერიალური ფორმის დამცავ ნიშნებს ან/და გაუწევს აქციზური ან აარაქციზური საქონლის ელექტრონული მარკირების მომსახურებას და მასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი გადავა მყიდველზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საოპერაციო იჯარა

2019 წლის 1-ლი იანვრიდან საოპერაციო იჯარად მოცემული წლის მოგება-ზარალში კომპანიის მიერ აღირიცხება მოკლევადიანი იჯარები (12 თვისანი და ნაკლები ვადის) და მცირე ღირებულების აქტივების იჯარა წრფივი მეთოდით როგორც ეს დაშვებულია ფასს-16-ის შესაბამისად.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები აისახება მათი დადგომისთანავე.

4. ძირითადი საშუალებები

(ლარი)	იჯარით ადებული ქონების კეთილმოწყობა	საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება	მანქანა- დანადგარები და ადჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები და სხვა ძირითადი საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	ჯამი
2018 წლის 1.იანვარი	821,459	0	17,503,931	434,186	301,426	19,061,002
დამატება	27544	0	718090	172858.81	87541	1,006,034
გასვლა						
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია						
2018 წლის 31 დეკემბერი	849,003	0	18,222,021	607,045	388,967	20,067,036
დამატება	17,053	579,144			35,199	
გასვლა				-36,050		
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია						
2019 წლის 31 დეკემბერი	866,056	579,144	18,222,021	570,995	424,167	20,662,382
ღარიბი ცვეთა და გაუფასურება						
2018 წლის 1 იანვარი	744,460	0	13,256,465	270,440	241,632	14,512,997
ცვეთის ხარჯი	33892	0	1,759,664	104,535	61,181	1,959,271
გასვლა						
გაუფასურება	46,087					46,087
2018 წლის 31 დეკემბერი	824,439	0	15,016,129	374,975	302,813	16,518,356
ცვეთის ხარჯი	22,168	315,897	1,689,953	147,014	72,100	2,247,132
გასვლა				-36050		
გაუფასურება						
2019 წლის 31 დეკემბერი	846,607	315,897	16,706,082	485,939	374,913	18,765,488
საბალანსო ღირებულება						
2018 წლის ბოლოს	24,564	0	3,205,892	232,070	86,154	3,548,680
2019 წლის ბოლოს	19,449	263,247	1,515,939	85,056	49,253	1,932,944

5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები (ლარი)

	<u>31/12/2019</u>	<u>31/12/2018</u>
ნედლეული	324,294	269,131
მზა პროდუქცია	2,011,387	2,231,231
საქონელი გზაში	3,619	3,619
სათადარიგო მასალები	977,550	1,001,565
სხვა მარაგები	3,187	1,630
მოძველებული მარაგების რეზერვი	(212,350)	(353,195)
სულ მარაგები	<u>3,107,687</u>	<u>3,153,981</u>

მოძრაობა მარაგების რეზერვში:

	<u>2019</u>	<u>2018</u>
ნაშთი წლის დასაწყისში	(353,195)	(658,874)
დამატება წლის განმავლობაში	(11,925)	
წინა პერიოდის რეზერვის აღდგენა	152,770	305,679
ნაშთი წლის ბოლოს	<u>212,350</u>	<u>353,195</u>

6. სავაჭრო მოთხოვნები (ლარი)

	<u>31/12/2019</u>	<u>31/12/2018</u>
დაკავშირებულ მხარეებთან	53,810	88,446
მესამე პირებთან	29,825	35,649
	<u>83,635</u>	<u>124,095</u>

7. ფული და ფულის ექვივალენტები (ლარი)

	<u>31/12/2019</u>	<u>31/12/2018</u>
ფული საბანკო ანგარიშებზე	563,247	89,567

8. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის 2017 წელს 2 132 742 ლარიდან გაიზარდა 28 169 924 ლარამდე 26 037 182 ლარით დამფუძნებელი კომპანიის “სიქპა ეს.ეი” დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

განხორციელდა შპს სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია-ს დამფუძნებლის და შვეიცარიის კონფედერაციაში რეგისტრირებული ჯგუფის საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სხვა კომპანიების მიმართ არსებული სასესხო და სავაჭრო ვალდებულებების გაქვითვა კაპიტალის გაზრდით გზით.

9. სავაჭრო ვალდებულებები (ლარი)

	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	12,049,151	10,827,583
სავაჭრო ვალდებულებები მესამე პირებთან	8,949	24,738
	12,058,100	10,852,321

10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (ლარი)

	31/12/2019	31/12/2018
მიღებული ავანსები	104,566	129,570
თანამშრომლებისთვის გადასახდელი თანხები	78,102	101,329
	182,668	230,899

11. ამონაგები (ლარი)

	2019	2018
მატერიალური მარკების რეალიზაციიდან	7,986,846	11,171,720
ელექტრონული მარკირების მომსახურებიდან	1,122,809	965,707
	9,109,655	12,137,427

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (ლარი)

	2019	2018
პერსონალის ხარჯი	(1,855,897)	(1,682,604)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(8,760)	(9,153)
საკონსულტაციო ხარჯი	(19,626)	(55,180)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	(39,173)	(52,427)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(43,838)	(52,792)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(237,929)	(233,710)
იჯარის ხარჯი	(37,279)	(310,666)
ცვეთა და ამორტიზაცია	(2,247,132)	(2,005,360)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(706,458)	(613,758)
როიალტი	(637,676)	(849,514)
სულ ხარჯები	(5,833,768)	(5,865,164)

12. ფინანსური ხარჯი (ლარში)

	2019	2018
მოკლევადიანი სესხის საპროცენტო ხარჯი	(5,009)	-
საიჯარო აქტივების საპროცენტო ხარჯი	(25,986)	-
	(30,996)	-

13. საიჯარო აქტივებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები (ლარში)

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საიჯარო აქტივებთან დაკავშირებული პროცენტის გადახდა	25,986	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
საიჯარო ვალდებულებების ძირითადი თანხის გადახდა	364,543	

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო წლის დასრულების შემდგომ, 2020 წელს ხელი მოეწერა “პროდუქციის მოძრაობისა და რეგისტრაციის ინტეგრირებული სისტემის შექმნისა და ოპერირების” ხელშეკრულების ცვლილებას, ერთი წლის ვადით ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ (2021 წლის ნოემბრამდე), რამაც საფუძველი მოგვცა შეგვეფასებინა, რომ კომპანია აგრძელებს საქმიანობას როგორც ფუნქციონერადი საწარმო.

ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებიც გავლენას მოახდენდა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე.

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კორონავირუსის პანდემიას არსებითი გავლენა არ ექნება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდზე. რასაც შესაძლოა გამოეწვია კორექტირებები.